საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/44

ქ.თბილისი

"12" ოქტომბერი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის ჯგუფის საკადრო ადმინისტრირების მიმართულებით არასაშტატო სპეციალისტის დაქირავების მიზნით გამარტივებული საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, "ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის 13[1] მუხლის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 28 სექტემბრის №653/22 გადაწყვეტილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს გამარტივებული საჯარო კონკურსი ადამიანური რესურსების მართვის (არმ) ჯგუფის საკადრო ადმინისტრირების მიმართულების არასაშტატო სპეციალისტის დაქირავებისათვის არამუდმივი ამოცანის შესასრულებლად;
2. გამოქვეყნდეს აღნიშნული გამარტივებული კონკურსი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე- www.gncc.ge/vacancies
3. დამტკიცდეს ვაკანსიის განაცხადის ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად;
4. განისაზღვროს ვადა საბუთების მიღებისათვის 2017 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით;
5. გამოყენებულ იქნას კომისიის ა.რ.მ. ჯგუფის ელ ფოსტა- hr@gncc.ge შერჩევის პროცესის მართვისათვის (განაცხადის მისაღებად და კომუნიკაციისათვის);
6. გამარტივებული კონკურსი განხორციელდეს ორ ეტაპად: ა) მიღებული განაცხადების პირველადი გადარჩევა და ბ) შეფასება ინტერვიუს მეთოდით;
7. განისაზღვრონ შეფასების ეტაპზე პასუხიმგებელ პირებად: თ. ბოკუჩავა ადმინისტრაციის ა.რ.მ. ჯგუფის უფროსი და გ. კვანტალიანი ადმინისტრაციის ა.რ.მ. ჯგუფის ადმინისტრატორი;
8. აისახოს გამარტივებული კონკურსის შედეგები შესაბამის ოქმში შეფასების ეტაპზე პასუხიმგებელი პირების მიერ;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში
10. კონტროლი აღნიშნულ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის ა.რ.მ. ჯგუფს (თ. ბოკუჩავა).

საფუძველი: თ. ბოკუჩავას მოხსენებითი ბარათი (05.10.17 შ-10/7604-17) კომისიის თავმჯდომარის რეზოლუციით.

კომისიის თავმჯდომარე **კ. ბექაური**

ადამიანური რესურსების მართვის ჯგუფის საკადრო ადმინისტრირების მიმართულებით
არასაშტატო სპეციალისტი

დანართი 1

კომისიაში მიმდინარე ორგანიზაციული გაძლიერების ფარგლებში ინერგება ადამიანური რესურსების მართვის (არმ) ელექტრონული სისტემა, ა.რ.მ. პროცესების ეფექტიანი და უშეცდომო მართვისათვის. აღნიშნული სისტემა მორგებულია კომისიაში დანერგილ სამუშაო პროცესებზე და სხვა საჭიროებებთან ერთდ, მიზნად ისახავს კომისიაში დასაქმებულთა პირადი საქმეებისა და საკადრო კანცელარიის მოწესრიგებას.

აღნიშნული სისტემის დანერგვის სწრაფი უზრუნველყოფისათვის, კომისია აცხადებს გამარტივებულ საჯარო კონკურსს.

გამარტივებული საჯარო კონკურსი ცხადდება 2 თვის ვადით პირის დაქირავების მიზნით, არამუდმივი სამუშაოების შემსრულებლად შემდეგი ფუნქციებით:

ა) კომისიის ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის შეტანა;

ბ) კომისიის დასაქმებულთა დარეგისტრირება ელექტრონულ პროგრამაში;

გ) კომისიის დასაქმებულთა ელექტრონული პირადი ბარათები/პირადი საქმეების შექმნა;

დ) საკადრო კანცელარიის კუთხით მიმდინარე სხვა დავალებების შესრულება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო მინიმალური განათლების ხარისხია: არასრული უმაღლესი ადამიანური რესურსების მართვის, ორგანიზაციული ფსიქოლოგიის, ფსიქოლოგიის ან სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

სასურველი მოთხოვნები:

- უპირატესობა მიენიჭებათ აპლიკანტებს, რომლებსაც აქვთ არმ ელექტრონულ სისტემებში მუშაობის გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დამატებითი ინფორმაცია:

აღნიშნული ვაკანსიით დაინტერსებულმა პირებმა გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: hr@gncc.ge 2017 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.